



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

სუსტი რგოლის დილაგა

შოთა შტიაშვილი

80

ეასკერტის აზარი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

პოთა უტიანჭვილი

სუსტი რგოლის დილაგა

80

2017



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9887-1

ნატოში განევრიანების მსურველი ნებისმიერი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს ხუთ ძირითად კრიტერიუმს¹, ეს კრიტერიუმებია:

- საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა;
- უმცირესობებთან სამართლიანი მოპყრობა;
- კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპის ერთგულება;
- ნატოს ოპერაციებში სამხედრო მონაწილეობის შესაძლებლობა და სურვილი;
- დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ერთგულება.

ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნატოს წესდების მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, რომელიც იზიარებს წესდების პრინციპებსა და მზადაა ხელი შეუწყოს ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას, ალიანსის წევრთა კონსენსუსის შემთხვევაში, შეიძლება გახდეს ალიანსის წევრი².

ნატოში განევრიანების შესახებ საქართველოში მიმდინარე დებატები ხშირად კონცენტრირებულია, ერთი მხრივ, საქართველოს მიერ კრიტერიუმების შესრულებაზე და, მეორე მხრივ, ნატოში კონსენსუსის მიღწევასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ მოთხოვნას, რომელიც წევრობის მსურველი ქვეყნის მიერ ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების ასპექტს ეხება.

„ჩრდილოატლანტიკური არეალის უსაფრთხოების განმტკიცება“ საკმაოდ ზოგადი განსაზღვრებაა. ერთი შეხედვით, ძნელია წარმოიდგინო, როგორ უნდა შეუწყოს პატარა და სუსტმა საქართველომ ხელი ამხელა სივრცის უსაფრთხოებას. თუმცა, ლოგიკურად, მინიმალური პირობა, რომელიც ამ მოთხოვნიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ საქართველოს მიღების შემთხვევაში ნატო (საქართველოს ჩათვლით) უნდა იყოს უფრო უსაფრთხო, ვიდრე საქართველოს მიღების გარეშე, ანუ საქართველო არ უნდა იყოს სუსტი რგოლი ალიანსის უსაფრთხოებისათვის.

ნატო აღიარებულია, როგორც ყველა დროის ყველაზე მძლავრი სამხედრო ალიანსი, იმდენად მძლავრი, რომ ჯერჯერობით მისი ძლიერების გამოცდა არავის გაუბედავს. ალიანსის ძლიერება ორ თანაბრად მნიშვნელოვან საფუძველზე დგას – სამხედრო ძალა-სა და მტკიცე ერთიანობაზე.

ნატოს ყველა წევრმა ქვეყანამ იცის, რომ უცხო სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, შეუძლია ნატოს წესდების მეხუთე მუხლის იმედი ჰქონდეს, რომლის თანახმადაც, ერთზე თავდასხმა ყველაზე თავდასხმას ნიშნავს. ცხადია, არა აქვს მნიშვნელობა აგრესიის მსხვერპლი სახელმწიფო დიდია თუ პატარა. ნატოს ძლიერება სწორედ ისაა, რომ თუნდაც მათ შორის ყველაზე პატარაზე თავდასხმის შემთხვევაში, უფრო დიდი და ძლიერი წევრები მას დაიცავენ სამხედრო ძალით, თუნდაც ამით საკუთარი ქვეყნები ბირთვული თავდასხმის საფრთხის წინაშე დააყენონ. რომ არა ეს რწმენა, ვთქვათ, ბალტიის ან აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისათვის ალიანსში წევრობას ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა.

როდესაც ერთმანეთს ვადარებთ ნატოსა და რუსეთის ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებს, უპირატესობა ერთ-მნიშვნელოვნად ნატოს მხარესაა. ნატოს ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა 900 მილიონია, რუსეთისა – 140 მილიონი, ნატოს ქვეყნების ერთობლივი მთლიანი შიდა პროდუქტი 40 ტრილიონი დოლარია, რუსეთისა – 1,5 ტრილიონი, ნატოს მთლიანი სამხედრო ხარჯები დაახლოებით 1 ტრილიონი დოლარია³, რუსეთისა – 66 მილიარდი⁴. უდავოა, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების თვალსაზრისითაც აშკარა უპირატესობა ნატოს მხარესაა.

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ჯერ კიდევ 2010 წელს განაცხადა, რომ რუსეთი უახლოესი 10 წლის მანძილზე შეიარაღების მოდერნიზაციისათვის 20 ტრილიონი მანეთის (დღევანდელი კურსით 300 მილიარდ დოლარზე მეტი) დახარჯვას აპირებს⁵. რუსეთი მუდმივად ზრდის სამხედრო ხარჯებს და მაინც, თუ გავითვალისწინებთ, ჯერ ერთი, ნატოსთან ჩამორჩენის მასშტაბს და მეორეც, რუსეთის ეკონომიკის არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობას, ნატოსთან სამხედრო პარიტეტის მიღწევა შეუძლებელ ამოცანად ჩანს.

* * *

მაშინ რისი იმედი აქვს პუტინს და რატომ მიიჩნევს ნატოს ქვეყნების ოფიციალური პირების და ექსპერტების სულ უფრო დიდი ნაწილი რუსეთს მთავარ სამხედრო საფრთხედ?

ექსპერტების ნაწილი, მათ შორის ევროპაში ნატოს ჯარების სარდლის ყოფილი მოადგილე სერ რიჩარდ შერიფი აცხადებს, რომ პუტინის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მიუხედავად მისი ნაკლები რესურსებისა, გაცილებით დიდია მისი საბრძოლო მზადყოფნა, ვიდრე მისი კოლეგებისა დასავლეთიდან⁶. ამგვარი მოსაზრების დასტურად უკრაინისა და სირიის მაგალითებიც გამოდგება. ორივე შემთხვევაში პუტინის სტრატეგია ეყრდნობოდა იმგვარ დაშვებას, რომ სამხედრო ესკალაციისას დასავლეთი ვერ შეძლებდა ან არ მოისურვებდა ისეთ დიდ რისკზე წასვლას, რაზეც მზად იყო პუტინი. რეალურად, ორივე ამ შემთხვევაში პუტინის ამგვარმა სტრატეგიამ გაამართლა (ისევე, როგორც კიდეც უფრო ადრე საქართველოში). სამხედრო მოქმედებების შედეგად რუსეთმა უკრაინაშიც და სირიაშიც შეძლო სამხედრო უპირატესობის (თუნდაც დროებითის) მოპოვება.

რა მოხდება მაშინ, თუ პუტინი კიდეც უფრო დიდ რისკზე წავა?

და რა შეიძლება იყოს ეს დიდი რისკი?

* * *

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მოკლედ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რას მიიჩნევს კრემლი რუსეთის უმთავრეს ეროვნულ ინტერესად⁷. ამაზე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად საუბრობენ: „მრავალპოლარულ მსოფლიოს“, ანუ მსოფლიოს ისეთ მოწყობას, სადაც ყველაფერს წყვეტს არა წესები ან საერთაშორისო სამართალი, არამედ რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო (ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, შესაძლოა ევროკავშირი), რომლებიც თანხმდებიან თამაშის წესებზე და პატარა სახელმწიფოები ვალდებული არიან მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დაემორჩილონ. რუსული მოდელის თანახმად, ეს დიდი სახელმწიფოები ასევე უნდა იღებდნენ ვალდებულებას, არ ჩაერიონ ერთმანეთის გავლენის სფეროებში.

ამ მიზნის მიღწევა, ამ ეტაპზე, ძალიან რთულია, რადგან რუსეთი და ნატო არ არიან თანაბარი ძალის ცენტრები, რასაც ზემოთ მოყვანილი ციფრები ადასტურებს. დასავლეთს არ სურს

დათმოს მსოფლიო წესრიგი, რომელიც საერთაშორისო სამართალზე, დემოკრატიულ პრინციპებსა და თავისუფალ ვაჭრობაზე დგას. ანუ სანამ ნატო, ევროპა და ამერიკა ერთიანია, რუსეთს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ მისი სტრატეგიული ამოცანა შესრულდება.

რუსეთმა რამდენჯერმე სცადა ევროპულ-ამერიკულ ერთიანობაში განხეთქილების შეტანა. შეგვიძლია გავიხსენოთ პუტინ-შრიოდერ-შირაკის ალიანსი ჯორჯ ბუშ უმცროსისა და ერაყის მეორე ომის წინააღმდეგ. პუტინი ცდილობდა დაახლოებოდა დასავლეთ ევროპის დიდ ქვეყნებს და მაქსიმალურად ჩამოეშორებინა ისინი ამერიკისათვის. რუსეთი იყო ევროკავშირში გაზის მთავარი მიმწოდებელი და გაზს ის იყენებდა გეოპოლიტიკური ბრძოლის იარაღად. რუსეთი იყო მიმზიდველი ბაზარი ევროპელი ექსპორტიორებისათვის და მიმზიდველი საინვესტიციო შესაძლებლობა ევროპული კაპიტალისათვის. პუტინი სთავაზობდა პირად მეგობრობას, მისგან გამომდინარე ყველა სიკეთით, ევროპის ლიდერებს (შეგვიძლია გავიხსენოთ გერმანიის ყოფილი კანცლერი შრიოდერი ან იტალიის ყოფილი პრემიერი ბერლუსკონი), თუმცა, საბოლოო ჯამში, რუსეთმა დასავლეთ ევროპის მოხიბლვა ვერ შეძლო. უკრაინასა და სირიაში ჩადენილი ქმედებების, რასაც ბევრი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია სამხედრო დანაშაულად აფასებს⁸⁹, ასევე რუსეთში მზარდი ავტორიტარიზმის გამო რუსული „რბილი ძალის“ გავლენა ევროპაზე შემცირდა. ტექნოლოგიური გარღვევების, მათ შორის, ფიქლის გაზის ათვისებისა და გათხევადებული ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების შესაძლებლობის გაჩენის შემდეგ საფრთხე დაემუქრა ევროპაში რუსული გაზის „ენერგეტიკულ იარაღად“ გამოყენებასაც.

ამის შემდეგ რუსეთმა ტაქტიკა შეიცვალა, თუმცა მიზანი არ შეუცვლია: ნატოში განხეთქილების შეტანა კვლავაც მისი მთავარი ამოცანაა და მით უფრო გადაუდებელი, რაც უფრო იძაბება ურთიერთობა ნატოსა და რუსეთს შორის.

ამერიკის 17-მა სადაზვერვო სამსახურმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაასკვნა, რომ რუსეთი ჩაერია ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში¹⁰. რუსმა ჰაკერებმა გატყუეს დემოკრატიული პარტიის სერვერები და არჩევნების მოახლოებასთან ერთად წვეთ-წვეთად დაიწყეს დემოკრატიული პარტიისა და მისი კანდიდატის მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნება. რამდენად იმოქმედა ამან არჩევნების შედეგებზე, უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი აქტიურად იბრძოდა ტრამპის გამარჯვებისათვის.

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ყველაზე უფრო პროევროპული კანდიდატის ემანუელ მაკრონის მომხრეები ღიად აცხადებენ, რომ რუსული საინფორმაციო თუ სადებინფორმაციო მანქანა აქტიურად მუშაობს მათ წინააღმდეგ¹¹. რუსული სპეც-სამსახურების არჩევნებში შესაძლო ჩარევაზე ლაპარაკობენ გერმანიაშიც¹².

ყველა შემთხვევაში რუსეთის მხარდაჭერით სარგებლობენ კანდიდატები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ანტიესტაბლიშმენტური რიტორიკით გამოდიან და ამასთანავე, ებრძვიან გლობალიზაციას და მის თანმდევ მოვლენებს: ლიბერალურ საერთაშორისო-სავაჭრო რეჟიმს, მიგრაციას და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგალითად, ისეთებს, როგორცაა ნაფტა (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია) ან ევროკავშირი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოპულისტი კანდიდატების მხარდაჭერით დასავლეთის ქვეყნებში პუტინი განხეთქილების შეტანას ცდილობს და ამისათვის მზადაა დიდ რისკზე წავიდეს. ჯერ უცნობია, ნახავს თუ არა რუსეთი სარგებელს ტრამპის არჩევის შედეგად, მაგრამ უკვე იზარალა – შეერთებული შტატებისაგან სანქციების კიდევ ერთი პაკეტი მიიღო.

გარდა პოლიტიკოსთა მოსყიდვისა და პოპულისტების მხარდაჭერისა, თეორიულად რუსეთი შეიძლება წავიდეს კიდევ უფრო სარისკო, შეიძლება ითქვას, თავზეხელაღებულ ნაბიჯზეც კი, რათა შეარყოს ნატოს ერთიანობა.

საქართველოში 2008 წელს, უკრაინაში 2014 წელს და სირიაში 2016 წელს, მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, რუსეთი მოქმედებდა ერთი და იმავე სცენარით: ჯარების შეყვანა, ტერიტორიის დაკავება და შემდეგ უკვე მოლაპარაკებების წარმოება.

საქართველოში, უკრაინასა და სირიაში რუსეთის სამხედრო ოპერაციებს არ მოჰყოლია დასავლეთის გახლეჩა, პირიქით, რუსეთის ყოველ შემდგომ სამხედრო ავანტიურას დასავლეთი სულ უფრო მტკიცე ერთიანობით პასუხობს. თუ საქართველოში სამხედრო ინტერვენციას დასავლეთის მხრიდან რუსეთისათვის სანქციების დაწესება არ მოჰყოლია, უკრაინის შემთხვევაში, როგორც ყირიმის, ისე აღმოსავლეთ უკრაინის გამო, რუსეთს სერიოზული და მტკივნეული სანქციები დაუწესეს.

სანქციებთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევა შედარებით ადვილია. გერმანია, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებიდან რუსეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორია,

უფრო მეტი საქონლის ექსპორტს აწარმოებს პოლონეთში, ვიდრე რუსეთში. ეკონომიკური ზარალი, რომელიც ევროკავშირს რუსეთთან ვაჭრობის შეზღუდვით აქვს, ბევრად ნაკლებია, ვიდრე ზარალი, რომელსაც რუსეთი იღებს¹³.

მაგრამ რა მოხდება მაშინ, თუკი რუსეთი ნატოს უფრო რთული არჩევანის წინაშე დააყენებს, ვიდრე სანქციებია?

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შეიჭრება ნატოს ნევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, დაიკავებს მას მთლიანად ან ნაწილობრივ და ნატოს დააყენებს არჩევანის წინაშე: აამოქმედოს მეხუთე მუხლი, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესორს და დადგეს რუსეთთან სრულმასშტაბიანი ომის, მათ შორის, პოტენციური ბირთვული ომის საფრთხის წინაშე ან არ გაუწიოს რუსეთს შეიარაღებული წინააღმდეგობა, რითაც თავიდან აიცილებს ბირთვული ომის საფრთხეს, მაგრამ ძირფესვიანად შეარყევს ნატოს ერთიანობას.

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ანალიტიკურმა ცენტრმა „რენდ კორპორეიშენმა“ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები¹⁴, რომლის თანახმადაც, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, რუსეთის დასავლეთ სამხედრო ოლქში თავმოყრილ ჯარსა და შეიარაღებას და, მეორე მხრივ, ბალტიის ქვეყნების სამხედრო პოტენციალს, ასევე ბალტიის ქვეყნების უშუალო სიახლოვეს განლაგებულ ნატოს ქვეყნების ძალებსა და საშუალებებს, რუსეთს მაქსიმუმ 60 საათი დასჭირდება რიგის ან ტალინის ასაღებად (იმისათვის, რომ რუსეთს ბალტიის ქვეყნების სწრაფად ოკუპირების საშუალება არ ჰქონდეს, ამავე კვლევის თანახმად, ნატოს სჭირდება ბალტიის ქვეყნებში ან მის უშუალო სიახლოვეს განლაგებული 6-7 ქვეითი ბრიგადა, აქედან 3 – მძიმედ შეიარაღებული, რისი შექმნისთვის მაქსიმალური ხარჯიც 13 მილიარდი დოლარია, ხოლო შენახვის ხარჯი ერთი წლის განმავლობაში – 2,7 მილიარდი დოლარი).

სამხედრო ანალიტიკოსები ვალდებული არიან ყოველთვის იფიქრონ ყველაზე უარეს სცენარზე. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მოულოდნელად შეუტევს და დაიკავებს ბალტიის რომელიმე ქვეყანას? ნატოს ქვეყნების ხელმძღვანელობა დადგება მძიმე არჩევანის წინაშე – მესამე მსოფლიო ომის საფრთხე თუ მოკავშირის მიტოვება აგრესორის პირისპირ? ცხადია, მეორე არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, ნატო, როგორც სამხედრო ალიანსი, პრაქტიკულად შეწყვეტს არსებობას.

2015 წლის მარტის სამხედრო წვრთნების დროს, რომელშიც 80 ათასამდე რუსი ჯარისკაცი მონაწილეობდა, რუსულმა არმიამ სწორედ ბალტიის ქვეყნებზე იერიშის სცენარი დაამუშავა¹⁵. სცენარის მიხედვით, რუსულმა საჰაერო-სადესანტო ჯარებმა ვერტმფრენებისა და არტილერიის დახმარებით იერიში მიიტანეს ლატვიაზე. რუსეთის ბალტიის ფლოტი ამ დროს საჰაერო თავდაცვისა და ძებნა-განადგურების ოპერაციების ატარებდა. მსგავსი სწავლება ჰქონდა ჩრდილოეთის ფლოტსაც, სადაც ასევე მონაწილეობდნენ სტრატეგიული ავიაცია და ავიაგამანადგურებლები. რუსეთის შავი ზღვის ფლოტი კი ამ დროს მონინალმდევის წყალქვეშა ნავების აღმოჩენასა და განადგურებაში ვარჯიშობდა.

რუსეთის ამ წვრთნების საპასუხოდ იმავე წელს ნატომ ოთხი სწავლება ჩაატარა 15 000 ჯარისკაცის მონაწილეობით¹⁶. სწავლებების სცენარი ითვალისწინებდა დესანტის გადასხმას პოლონეთსა და შვედეთში და ერთობლივ მოქმედებებს კალინინგრადის წინააღმდეგ, მეორე სატანკო ბრძოლას ბალტიისა და პოლონეთის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ მესამე წვრთნის ფარგლებში განხორციელდა ნატოს ახალი „ძალიან მაღალი მზადყოფნის შერეული ძალების“ (Very High Readiness Joint Task Force) პირველი „ნათლობა“¹⁷.

აღსანიშნავია, რომ ძალიან მაღალი მზადყოფნის შერეული ძალები სწორედ აღმოსავლეთ ევროპაში რუსული სამხედრო საფრთხის უვნებლყოფის მიზნით შეიქმნა¹⁸. ამ ძალებით ნატო არწმუნებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომ რუსეთის მხრიდან ბლიცკრიგის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩაერთვება მათ დაცვაში და რუსეთს არ მისცემს საშუალებას, რომ ეს ქვეყნებიცა და მთლიანად ნატოც უკვე მომხდარი ოკუპაციის ფაქტის წინაშე დააყენოს.

რატომ ითვლება ბალტიის ქვეყნები ნატოს ყველაზე სუსტ ნერტილად? მთავარი მიზეზი გეოგრაფიულია. ესტონეთი და ლატვია უშუალოდ ესაზღვრება რუსეთს, ლიტვა კი – რუსეთის კალინინგრადის ოლქს. ნატოს არა აქვს სახმელეთო საზღვარი ბალტიის ქვეყნებთან, თუ არ ჩავთვლით ლიტვა-პოლონეთის დამაკავშირებელ დაახლოებით 100 კილომეტრის სიგანის სუვალკის კორიდორს, რომლის აღმოსავლეთით მდებარეობს ბელარუსი, დასავლეთით კი – რუსეთის კალინინგრადის ოლქი. სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთი ისე განიხილავს ბელარუსის ტერიტორიას,

როგორც საკუთარს. ამიტომაც შიშობენ სამხედრო ექსპერტები, რომ ომის შემთხვევაში რუსეთი შეძლებს ამ კორიდორის გადაკეტვას.

მეორე მიზეზი რუსეთის მიერ კალინინგრადის ოლქში ახალი გემსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღებისა და მოკლე რადიუსის ბალისტიკური რაკეტების – ისკანდერის – განლაგებაა. 5400 ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტების მოქმედების რადიუსი 400 კილომეტრია¹⁹. კალინინგრადშია განლაგებული ასევე გემსაწინააღმდეგო რაკეტები „ბალი“ და „ბასტიონი“²⁰. 2012 და 2016 წლებში აქვე განლაგდა ისკანდერის ტიპის ბალისტიკური რაკეტები²¹.

ერთი სიტყვით, ბალტიის ზღვის რეგიონში რუსეთი იყენებს სტრატეგიას, რომელიც ცნობილია A2AD (ANTI ACCESS AREA DENIAL) სახელით. სტრატეგიის მიზანია მოცემული გეოგრაფიული რაიონის მოწინააღმდეგისათვის შეუღწეველ ზონად გადაქცევა ან ამ რაიონში მისი გადაადგილების მნიშვნელოვანი შეზღუდვა. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ბალტიის ქვეყნებში შეტევაზე გადავა, მისი მიზანი იქნება საჰაერო და საზღვაო გზის ჩაკეტვა, რათა ნატოს ქვეყნების გემებმა და თვითმფრინავებმა ვერ მოახერხონ ან დიდი დანაკარგის ფასად მოახერხონ ამ ქვეყნებამდე დასახმარებლად მიღწევა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამცირებს ბალტიის ქვეყნების დაცულობის ხარისხს, თავისთავად ცხადია, ამ ქვეყნების შეიარაღებული ძალების სისუსტეა. ლიტვის შეიარაღებულ ძალებში 17 000 სამხედრო მოსამსახურეა, 2017 წლის თავდაცვის ბიუჯეტი – 725 მილიონი ევრო. ლატვიის შეიარაღებულ ძალებში 5000-მდე ჯარისკაცია, რასაც ემატება ეროვნული გვარდიის 8000 მებრძოლი. თავდაცვის ბიუჯეტი – 450 მილიონი ევრო. ესტონეთის არმიაში 5750 ჯარისკაცია, რასაც ემატება „ესტონეთის თავდაცვის ლიგის“ 12000 მებრძოლი. სამხედრო ბიუჯეტი – 477 მილიონი ევრო.

რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის შემდეგ ბალტიის სამივე ქვეყანამ მიიღო გადანყვეტილება სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი გაზრდის შესახებ. ესტონეთმა ჰოლანდიისაგან შეიძინა 44 ჯავშანმანქანა და 6 „ლეოპარდის“ ტიპის ტანკი, ხოლო აშშ-სგან – 40 ერთეული „სტინგერის“ ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. ტალინი ასევე ყიდულობს ახალ თვითმავალ საარტილერიო დანადგარებს.

ლატვიამ შეიძინა 123 ჯავშანმანქანა და კარლ-გუსტავის ტიპის 800 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა.

ლიტველებმა იყიდეს პოლონური „გრომის“ ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო და ამერიკული „ჯაველინის“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო სისტემები.

გარდა ამისა, ლიტვამ უარი თქვა მხოლოდ პროფესიულ არმიაზე და შვედეთის მსგავსად აღადგინა ჯარში განვება.

შეძენილი შეიარაღების ჩამონათვალი ცხადად აჩვენებს, რომ ბალტიელების მთავარი მიზანი რუსული სატანკო და საავიაციო შეტევისათვის მაქსიმალური წინააღმდეგობის განვებაა.

თუ რუსეთის უზარმაზარ სამხედრო ბიუჯეტს და გადაიარაღების გრანდიოზულ პროგრამას გავითვალისწინებთ, ბალტიელების მიერ დახარჯული 300 მილიონი ევრო, ერთი შეხედვით, არაფრისმომცემად გამოჩნდება, მაგრამ – მხოლოდ ერთი შეხედვით.

ბალტიელებმა იციან, რომ მათ რეალური საფრთხე იმ შემთხვევაში დაემუქრებათ, თუკი კრემლი მიიჩნევს, რომ ერთი ხელის მოსმით შეძლებს სამივე ქვეყნის ოკუპაციას, რადგან რუსებმა შეიძლება იფიქრონ, რომ თუ ნატოს ოკუპაციის მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენებენ, ალიანსში ზოგმა შეიძლება მერყეობა დაიწყოს. იმ შემთხვევაში, თუ რუსები ვერ შეძლებენ ამ ქვეყნების სწრაფად ოკუპაციას და ნატო დადგება არა ოკუპაციის მომხდარი ფაქტის, არამედ იმგვარი ვითარების წინაშე, როდესაც ბალტიის ქვეყნები ომში არიან ჩართული, მაშინ მოჭოჭმანეებს ბევრად უფრო გაუჭირდებათ ომში ჩაბმული მოკავშირეების მიტოვება. ანუ თავდაცვითი ომის რამდენიმე დღით გაგრძელებამ (უფრო ზუსტად კი იმან, როგორ აფასებს რუსეთი, თუ რა დრო დასჭირდება ბალტიის ქვეყნების ოკუპაციისათვის) შეიძლება გადანყვიტოს ამ ქვეყნების ყოფნა-არყოფნის ბედი.

რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს საქართველოსთან?

პირველ რიგში, არსებობს აშკარა პარალელები ბალტიისა და შავ ზღვაში რუსეთის სტრატეგიას შორის. ყირიმის ოკუპაციის შემდეგ რუსეთმა ამ ნახევარკუნძულზე დაიწყო ზუსტად იმავე შეიარაღების განთავსება, რაც განლაგებული აქვს კალინინგრადის ოლქში^{22,23}. 2016 წლის ბოლოს რუსეთმა და სომხეთმა გააფორმეს შეთანხმება ერთობლივი საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნის შესახებ²⁴. გიუმრიში, სომხეთში, და აფხაზეთში განთავსებული S300 ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემების მეშვეობით რუსეთი თითქმის მთლიანად აკონტროლებს საქართველოს საჰაერო სივრცეს, ყირიმში

განლაგებული S400-ის მეშვეობით კი – შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილს. რუსეთმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ურთიერთობები საქართველოს ერთადერთ ნატოელ მეზობელთან – თურქეთთან. საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი და, შესაბამისად, სამხედრო შესაძლებლობები, რბილად რომ ვთქვათ, არ იზრდება, განსხვავებით რუსეთის თითქმის ყველა დასავლელი მეზობლისაგან. დასავლელ სკეპტიკოსებს ყველა მიზეზი აქვთ იფიქრონ, რომ ნატოში საქართველოს მიღების ან მაპის მიცემის შემთხვევაშიც კი უკვე არა ბალტიის ქვეყნები, არამედ საქართველო იქნება ნატოს სუსტი რგოლი, ზოგის აზრით – მაცდუნებლად სუსტიც კი. შედეგად, უკრაინა-რუსეთის ომის შემდეგ მნიშვნელოვნად შენედა წინსვლა ნატო-საქართველოს ურთიერთობებში.

ამგვარი ვითარება კატეგორიულად მიუღებელია საქართველოსათვის. რომ დაეუბრუნდეთ ნაშრომის დასაწყისში დასმულ კითხვას, ძლიერდება თუ არა ევროატლანტიკური უსაფრთხოება საქართველოს ნატოში განწევრიანებით, სულ უფრო მეტი სპეციალისტი გვიპასუხებს, რომ არა. ამიტომაც საჭიროა დისკუსიის დაწყება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან – რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევაჩეროთ ეს უარყოფით დინამიკა, რათა საქართველო დიდი ხნით არ იქცეს სუსტ რგოლად ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის.

შენიშვნები

1. [ობ.:www.nato.int/cps/en/natolive/topics_49212.htm](http://www.nato.int/cps/en/natolive/topics_49212.htm)
2. [ობ.:www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm](http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm)
3. [ობ.:www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_07/20160704_160704-pr2016-116.pdf](http://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_07/20160704_160704-pr2016-116.pdf)
4. [ობ.:www.globalsecurity.org/military/world/russia/mo-budget.htm](http://www.globalsecurity.org/military/world/russia/mo-budget.htm)
5. [ობ.:www.sputniknews.com/russia/201608141044256113-russia-army-rearmament/](http://www.sputniknews.com/russia/201608141044256113-russia-army-rearmament/)
6. [ობ.:www.express.co.uk/news/world/692601/NATO-military-chief-warns-Vladimir-Putin-invade-Poland-start-World-War-Three](http://www.express.co.uk/news/world/692601/NATO-military-chief-warns-Vladimir-Putin-invade-Poland-start-World-War-Three)
7. [ობ.:www.rt.com/news/339082-russia-new-foreign-policy-multipolar/](http://www.rt.com/news/339082-russia-new-foreign-policy-multipolar/)
8. [ობ.:www.hrw.org/news/2016/12/01/russia/syria-war-crimes-month-bombing-aleppo](http://www.hrw.org/news/2016/12/01/russia/syria-war-crimes-month-bombing-aleppo)
9. [ობ.:www.forbes.com/sites/paulroderickgregory/2016/11/20/international-criminal-court-russias-invasion-of-ukraine-is-a-crime-not-a-civil-war/#2721fa9f7ddb](http://www.forbes.com/sites/paulroderickgregory/2016/11/20/international-criminal-court-russias-invasion-of-ukraine-is-a-crime-not-a-civil-war/#2721fa9f7ddb)
10. [ობ.:www.nytimes.com/2017/01/06/us/politics/russian-hack-report.html](http://www.nytimes.com/2017/01/06/us/politics/russian-hack-report.html)
11. [ობ.:www.bloomberg.com/politics/articles/2017-02-14/macron-urges-eu-pressure-on-russia-as-campaign-suffers-cyber-hit](http://www.bloomberg.com/politics/articles/2017-02-14/macron-urges-eu-pressure-on-russia-as-campaign-suffers-cyber-hit)
12. [ობ.:www.bbc.com/news/world-europe-38288181](http://www.bbc.com/news/world-europe-38288181)
13. [ობ.:www.diw.de/documents/publikationen/73/diw_01.c.530645.de/dp1569.pdf](http://www.diw.de/documents/publikationen/73/diw_01.c.530645.de/dp1569.pdf)
14. [ობ.:www.rand.org/pubs/research_reports/RR1253.html](http://www.rand.org/pubs/research_reports/RR1253.html)
15. [ობ.:www.euobserver.com/foreign/129871](http://www.euobserver.com/foreign/129871)
16. [ობ.:www.time.com/4015461/nato-exercise-poland-2/](http://www.time.com/4015461/nato-exercise-poland-2/)
17. [ობ.:www.sputniknews.com/europe/201506091023146529/](http://www.sputniknews.com/europe/201506091023146529/)
18. [ობ.:www.shape.nato.int/nato-response-force--very-high-readiness-joint-task-force](http://www.shape.nato.int/nato-response-force--very-high-readiness-joint-task-force)
19. [ობ.:www.army-technology.com/projects/s-400-triumph-air-defence-missile-system/](http://www.army-technology.com/projects/s-400-triumph-air-defence-missile-system/)
20. [ობ.:www.bbc.com/news/world-europe-38070201](http://www.bbc.com/news/world-europe-38070201)
21. [ობ.:www.theguardian.com/world/2016/oct/08/russia-confirms-deployment-of-nuclear-capable-missiles-to-kaliningrad](http://www.theguardian.com/world/2016/oct/08/russia-confirms-deployment-of-nuclear-capable-missiles-to-kaliningrad)
22. [ობ.:www.bbc.com/news/world-europe-37062036](http://www.bbc.com/news/world-europe-37062036)
23. [ობ.:www.reuters.com/investigates/special-report/russia-crimea/](http://www.reuters.com/investigates/special-report/russia-crimea/)
24. [ობ.:www.rbth.com/defence/2016/10/12/russia-and-armenia-to-set-up-joint-air-defense-system-in-the-caucasus_638263](http://www.rbth.com/defence/2016/10/12/russia-and-armenia-to-set-up-joint-air-defense-system-in-the-caucasus_638263)